მონიტორინგის ანგარიში № 01 - 2021

ორგანიზაციის დასახელება	შპს „ბლექ სი შიპინგ რეგისტერი“
აუდიტორიები	მარია პოლიაკოვა, დავით ჯინჭარაძე, ირაკლი სირაბიძე, ქრისტინე ახალაძე
აუდიტის თარიღი	02.03.2021
მისამართი	საქართველო, ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქუჩა №108
აუდიტის ტიპი	გეგმიური მონიტორინგი
წინა აუდიტის თარიღი	02.06.2020

<u>განმარტებები:</u>

შეუსაბამობა - სტანდარტის მოთხოვნების შეუსრულებლობა.
შენიშვნა - დარღვევა, რომელიც გამოწვეულია მექანიკური შეცდომით ან მოხდა ერთჯერადად და არ მოქმედებს საბოლოო შედეგზე.
რეკომენდაცია - რჩევა პოტენციური შეუსაბამობის და შენიშვნის თავიდან ასარიდებლად.

შესავალი:

მიმდინარე წლის 02 მარტს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმიური მონიტორინგი ჩაუტარდა აღიარებულ ორგანიზაციას. მონიტორინგი ითვალისწინებდა წინა მონიტორინგის დროს დაფიქსირებული შენიშვნებისა და შეუსაბამობების აღმოფხვრის ადგილზე გადამოწმებას, ასევე, მცურავი საშუალებების კონცენტრირებული ინსპექტირებების მონიტორინგის შედეგების, მცურავი საშუალებების და შემმომწმებლების პირადი საქმეების შემოწმებას და სხვა.

2020 წლის მონიტორინგის შენიშვენბის შესრულების სტატუსი:

2020 წლის მონიტორინგის დროს დაფიქსირებულ იქნა სულ: 17 შენიშვნა / შეუსაბამობა. აქედან, 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4, მე-8, მე-9, მე-14, მე-17, მე-18 მე-19 და მე-20 შენიშვნა / შეუსაბამობა აღმოფხვრილია.
დღემდე შესასრულებელი ქმედებები და 2021 წლის მონიტორინგის შედეგები ასახულია 2021 წლის 02 მარტის მონიტორინგის ანგარიშში.

შედეგები:

1. **შემაჯამებელი მიმოხილვის შედეგები.**
2020 წელს ჩატარდა არაგეგმიური შემაჯამებელი მიმოხილვა. არაგეგმიური შემაჯამებელი მიმოხილვის მონაცემებში შეტანილია 2020 წლის შიდა აუდიტების შედეგები შესაბამისი სტატისტიკური მონაცემებით. თუმცა 2020 წლის სრული შეჯამება არ განხორციელებულა. ხარისხის მენეჯერის განმარტებით, აღნიშნული ყოველი მომდევნო წლის 1-ელ კვარტალში ტარდება. იქიდან გამომდინარე, რომ სააგენტოს მხრიდან მონიტორინგი 1-ლი კვარტლის პერიოდში ჩატარდა, ხოლო 1-ლი კვარტლის დახურვა 31 მარტს ხდება.
შემაჯამებელი მიმოხილვის შემოწმება მოხდება 2021 წლის მომდევნო მონიტორინგის დროს.

2. **საქმიანობის დაგეგმარება**
ორგანიზაციაში არ არის განსაზღვრული დაგეგმილი ქმედებების ჩაშლილი ე.წ. გეგმა. განსაზღვრულია 4 მიზანი 2021 წლის 1 მარტამდე, თუმცა 02 მარტის მდგომარეობით მიზნები არ არის შესრულებული. 2020 წლის 11 ნოემბერს ჩატარდა მე-2 საზედამხედველო აუდიტი, რომლის დროსაც დაფიქსირდა ერთი შენიშვნა. აღნიშნული შენიშვნის აღმოფხვრის ვადა არ არის დადგენილი. ამ შემთხვევაში ყველა მსგავსი საკითხი სავსებით შესაძლებელია შეტანილი ყოფილიყო მაკორექტირებელ ქმედებათა გეგმაში ან /და წლიური სამოქმედო გეგმის მსგავს დოკუმენტში. დაგეგმარების ნაწილი არასტრუქტურიზებულია, არ ჩანს მკაფიოდ გაწერილი ქმედებები შესაბამისი რესურსების ადეკვატურობით განსაზღვრული ქმედებები და ა.შ. **ფიქსირდება შეუსაბამობა.**

3. **რისკები**
რისკების მატრიცა არ არის შედგენილი. 2020 წლის არაგეგმიური შიდა აუდიტის დროს გამოიწერა შეუსაბამობა №4, რომლის აღმოფხვრის ვადად მითითებული იყო 30 მარტი. შესაბამისად აღნიშნული შეუსაბამობა ღია რჩება.
შემოწმება მოხდება 2021 წლის მომდევნო მონიტორინგის დროს.

4. **თევსაჭერი გემი „განთიადი“.**
საქართველოს კანონი „საქართველოს საზღვაო კოდექსის“ 44[13] მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, აღიარებული ორგანიზაცია საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს საქართველოს გემებისთვის კლასის მინიჭების, გადაცემის, შეცვლის, შეჩერების ან გაუქმების შესახებ ინფორმაციას. შემოწმების დროს დადგინდა, რომ თევზსაჭერი გემი „განთიადი“, რომელიც ჩაიძირა 2019 წლის 06 დეკემბერს ორგანიზაციის მიერ გაცემული სერტიფიკატების რეესტრში ისევ ასახულია და არ არის მითითებული გემის სერტიფიკატის მოქმედების

გაუქმების შესახებ ინფორმაცია. ასევე, რეესტრი არ არის განთავსებული ორგანიზაციის ვებ-გვერდზე.

შენიშვნა ნაწილობრივ აღმოფხვრილია თუმცა, ორგანიზაციას მიეცა რეკომენდაცია ოფიციალური ვებ-გვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსებასთან დაკავშირებით.

5. **გემის კორპუსისა და კონსტრუქციების სისქეების აზომვითი სამუშაოების პროცედურა.**
მცურავი საშუალებები, რომლებიც იღებენ 5 წლიან საკლასო დოკუმენტაციას, მათი ყოველი დოკირებისა და კლასის რემონტის დროს უნდა ჩატარდეს გემის კორპუსისა და კონსტრუქციების სისქეების აზომვა. ცვეთა დასაშვებია 25-30% პირველადი სისქისა - გამოყენებული მცურავი საშუალების მშენებლობის დროს ან რემონტში შეცვლის შემდეგ, ტენიკური ზედამხედველობის დოკუმენტის განხილვის დროს ვერ იქნა წარმოდგენილი ცვეთის პროცედურა. ორგანიზაციის წარმომადგენელს არ ახსოვს, აქვთ თუ არა მსგავსი პროცედურა გაწერილი.
ფიქსირდება შენიშვნა.

6. **შემდუღებლის პროცედურა.**
მცურავ საშუალებას სარემონტო სამუშაოების დროს, როგორც მცურავ დოკში/რემონტში, ორგანიზაცის მიერ არ არის გაწერილი შემდუღებლის პროცედურა, თუ ვინ უნდა ჩაატაროს შედუღების ოპერაციები. პროცედურებში არის ჩანაწერი შემდუღებლის პროცედურებთან დაკავშირებით, თუმცა მითითება გაკეთებულია ისეთ საქმეზე, რომელიც არ არსებობს.
ფიქსირდება შენიშვნა.

7. **გემის ტიპის/ტონაჟის სერთიფიკატი.**
ტენიკური ზედამხედველობის დოკუმენტში არ არის აღნიშნული თუ რა ტიპის სერტიფიკატებს გასცემენ გემის ტიპის/ტონაჟის მიხედვით. რეკომენდაცია - აღნიშნულის შესახებ უნდა გაიწეროს პროცედურებში.
ფიქსირდება შენიშვნა.

8. **მცურავი საშუალების პირადი საქმის შემოწმება.**
შემოწმდა ბუქსირი „AKHTIAR"-ზე გაცემულია გემებიდან ნავთობით, ჩამდინარე წყლითა და ნაგვით გარემოს დაბინძურების პრევენციის სერტიფიკატი. საერთაშორისო კონვენცია MARPOL შესაბამისად, ეს სერტიფიკატი ასევე ითვალისწინებს მაქსიმალურ პირთა რაოდენობას. აღიარებული ორგანიზაციის მიერ გაცემულ სერტიფიკატში არ არის შესაბამისი ჩანაწერი აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით.
ფიქსირდება შენიშვნა.

9. **მცურავი საშუალების პირადი საქმის შემოწმება.**
შემოწმდა ბუქსირი „AKHTIAR"-ის პირადი საქმე. აღიარებული ორგანიზაციის მიერ გაცემულია გემის უშიშროების საერთაშორისო სერტიფიკატი. აღნიშნული სერტიფიკატი გაიცემა მხოლოდ

და მხოლოდ სააგენტოს მიერ და ისიც, მხოლოდ საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართულ გემებზე.

ფიქსირდება შენიშვნა.

10. **მცურავი საშუალების პირადი საქმის შემოწმება.**

შემოწმდა ბუქსირი „AKHTIAR"-ის პირადი საქმე. აღიარებული ორგანიზაციის მიერ გაცემულია გემის ტონაჟის სერთიფიკატი. საერთაშორისო ტონაჟის სერტიფიკატი გაცემული უნდა იყოს სააგენტოს მიერ დამტკიცებული ფორმით.

ფიქსირდება შენიშვნა.

11. **მცურავი საშუალების პირადი საქმის შემოწმება.**

შემოწმდა ბუქსირი „AKHTIAR"-ის პირადი საქმე, აღიარებული ორგანიზაციის მიერ გაცემულია ერთჯერადი გადასვლის სერთიფიკატი. საქართველოს საზღვაო კოდექსის თანახმად აღიარებულ ორგანიზაციას არ აქვს უფლება გასცეს ერთჯერადი გადასვლის სერტიფიკატი. შესაძლებელია მხოლოდ სააგენტოს რეკომენდაციის სახით, წერილობით მიმართოს შესაბამისი მცურავი საშუალების ერთჯერად გადასვლასთან დაკავშირებით.

ფიქსირდება შენიშვნა.

12. **აღიარებული ორგანიზაციის ვებ-გვერდი.**

საქართველოს საზღვაო კოდექსის მუხლი 44[13] , მე-3 პუნქტის შესაბამისად აღიარებული ორგანიზაცია ვალდებულია გააჩნდეს საკუთარ ოფიციალურ ვებ-გვერდი, სადაც უნდა განათავსოს ინფორმაცია გემებისთვის კლასის მინიჭების, გადაცემის, შეცვლის, შეჩერების, გაუქმების შესახებ, გეგმური შემოწმების, რეკომენდაციების, გემისთვის გაცემული კლასის პირობებისა და საქართველოს სახელმწიფო დროშით მცურავი, კლასისთვის მიკუთვნებული გემების ექსპლუატაციის პირობები და ექსპლუატაციის შეზღუდვების შესახებ. აღიარებულ ორგანიზაციის ვებ-გვერდიზე არ არის სრულყოფილად განთავსებული შესაბამისი ინფორმაციები.

ფიქსირდება შენიშვნა.

13. **სერვის პროვაიდერების პროცედურა.**

სააგენტოს მიერ მოთხოვნილი იქნა აღიარებული ორგანიზააცის მიერ აღიარებული/ავტორიზებული სერვის პროვაიდერების მონაცემები და აღიარების პროცედურა, რომლებიც ჩართული არიან სხვადასხვა საქმიანობაში, მაგალითად: ჰიდრავლიკური გამოცდები, სამაშველო ტივების შემოწმება, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების (ცეცხლმაქრის) შემოწმება და სხვა. ორგანიზაციის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი პროცედურა თუ სახელმძღვანელო აღიარება /ავტორიზაციასთან დაკავშირებით.

ფიქსირდება შენიშვნა.

დასკვნა:

2021 წლის მონიტორინგმა გამოავლინა, რომ აღიარებულ ორგანიზაციაში დანერგილი ხარისხის მართვის სისტემის კუთხით განხორციელდა რამდენიმე ქმედება, კერძოდ:

- აყვანილ იქნა კონსულტანტი 1 (ერთი) წლის ვადით, რომელიც აწესრიგებს ორგანიზაციის ხარისხის დოკუმენტაციებს;
- აყვანილი იქნა ოფის მეჯერი;

ხარისხის მართვის სიტემის დოკუმენტაციასთან დაკავშირებით, მიზანშეწოლილად მიგვაჩნია საფუძვლიანად გადაიხედოს, მაქსიმალურად დაიხვეწოს და შემცირდეს სისტემის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით.

მონიტორინგის დროს ასევე გამოიკვეთა საქართველოს საზღვაო კოდექსით და საერთაშორისო კონვენციიების გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა, რაც პირდაპირ კავშირშია აღიარებული ორგანიზაციის საქმიანობასთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა დაფიქსირებული შენიშვნა ატარებს კრიტიკულ ხასიათს და აღიარებულ ორგანიზაციას ანგარიშის საბოლოო ვერსიის ჩაბარებიდან ეძლევა 1 (ერთი) თვის ვადა ყველა გარემოების აღმოფხვრისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ორგანიზაციას ჩამოერთვევა სააგენტოს აღიარება, შემდეგი მონიტორინგის დროს აღმოფხვრის შედეგები გადამოწმდება ადგილზე და მიიღება საბოლოო გადაწყვეტილება ორგანიზაციის აღიარების გაგრძელებასთან დაკავშირებით.

მონიტორინგის ჯგუფის წევრების (ხელმოწერები):

დავით ჯინჭარაძე _____

ირაკლი სირაბიძე _____

მარია პოლიაკოვა _____

ქრისტინა ახალაძე _____

ანგარიშის ჩაბარების თარიღი: 24.03.2021

ორგანიზაციის წარმომადგენელი (სახელი, გვარი, ხელმოწერა):